

31.10.2007

შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა და ეკონომიკური პერსპექტივა

ავტორი კახა მჭედლიძე

დღეს, 31 ოქტომბერს, შავი ზღვის ქვეყნები შავი ზღვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. ეს დღე გარემოსდამცავი

ორგანიზაციების ინიციატივით დაწესდა, თუმცა, მათივე განცხადებით, შავი ზღვის ქვეყნები ზღვის დაბინძურებისგან დაცვაზე მეტად მის ეკონომიკურ გამოყენებაზე ფიქრობენ. როგორია ამჟამად ეკოლოგიური მდგომარეობა შავ ზღვაში, რა კუთდება საქართველოში ზღვის დასაცავად და როგორია შავი ზღვის ეკონომიკური პერსპექტივა?

შავი ზღვა გარშემორტყმულია 6 ქვეყნით, თუმცა მასში გაცილებით მეტი ქვეყნიდან ჩაედინება საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული მდინარეები.

[ტალღების ხმა]

[მოქალაქის ხმა] “როგორც ჩემთვის არის ცნობილი, შავი ზღვა არის ეკოლოგიური საფრთხის წინაშე. ამის მიზეზი არის ის, რომ ფოთში არ არის გამწმენდი ნაგებობა და მთელი ფეკალური მასები ჩაედინება შავ ზღვაში.”

[მოქალაქის ხმა] ”ძალიან კარგი იქნება, თუ გაიწმინდება ყველაფერი. რიონიდან ჩამავალი წყალი არის ძალიან დაბინძურებული. ძალიან დაბინძურებულია ყველაფერი, სანაპირო ზოლიც, და კარგი იქნება, თუ დროზე მოგვხედავენ.”

ასე ფიქრობენ შავი ზღვის საპორტო ქალაქის, ფოთის, მცხოვრებნი. მათ მიერ ნახსენები პრობლემა არამარტო მდინარეთა ჩამონადენის ბრალია. ზღვის გარშემო განლაგებული ქალაქები თუ სახელმწიფოები არანაკლებ ზიანს აყენებენ შავ ზღვას.

მაგალითად, რუსეთი უახლოეს ხანებში იწყებს შავი ზღვის ფსკერზე ნავთობსადენის მშენებლობას, ნავთოსადენისა, რომელიც რუსეთს იტალიასთან დააკავშირებს. თურქეთის ტერიტორიულ წყლებში, საქართველოს საზღვრის მახლობლად, ”ბრიტიშ პეტროლიუმი” ზღვაში ნავთობის მოპოვების დაწყებას გეგმავს. გარემოს დამცველთა აზრით, ეს ყველაფერი შავ ზღვას კარგს არაფერს უქადის. არასამთავრობო ორგანიზაცია ”მწვანე ალტერნატივის” ხელმძღვანელის, მანანა ქოჩლამის, კომენტარი:

[მანანა ქოჩლამის ხმა] ”თუ აქ დაიწყო მართლაც სამრეწველო მოპოვება ნავთობისა, ამას ძალიან დიდი ზეგავლენა ექნება შავ

ზღვაზე, იმიტომ რომ აქ ყველაზე დიდი პრობლემა არის არა დიდი ჩალვრები, არამედ ეგრეთ წოდებული ყოველდღიური ჩალვრები.”

მანანა ქოჩლადის განცხადებით, შავი ზღვის ფსკერზე ბურღვა ან იქ ნავთობსადენის აშენება საშიშია იმის გამოც, რომ შავ ზღვაში ჭარბად არის გოგირდწყალბადის გაზი, რომელიც ძალიან აგრესიულ გაზად ითვლება. იგი მომწამლავია და მეტალის სწრაფ კოროზიას იწვევს.

მანანა ქოჩლადის აზრით, შავი ზღვის დაბინძურების არანაკლებ საფრთხეს შეიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებარე ყულევის ნავთობგადამამუშავებელი საწარმო და პორტი, ასევე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნავთობის სავარაუდო მოპოვება და სხვ.:

[მანანა ქოჩლადის ხმა] ”როგორც ჩვენ ვხედავთ, შავი ზღვის ქვეყნებში უფრო მეტი არის ეკონომიკური პროექტები, ვიდრე ეკოლოგიური, რომლებიც უზრუნველყოფს შავ ზღვაში დაბინძურების შემცირებას.”

ჯერ კიდევ 1997 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ შავი ზღვა ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაბინძურებული ზღვაა. ამის მიზეზი მრავალია, ერთ-ერთი ძირითადი კი ის არის, რომ შავ ზღვას ოკეანესთან ძალიან სუსტი კავშირი აქვს. რა კეთდება საქართველოში შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? ამ კითხვაზე პასუხი ვთხოვე გარემოს დაცვის სამინისტროს ბათუმის ქვეუწყების უფროსს რამაზ მიქელაძეს, რომლის კომპეტენციაში შედის შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექტირება. მისი განცხადებით, ბოლო დროს ბევრი კეთდება ზღვის დასაცავად:

[რამაზ მიქელაძის ხმა] ”კონკრეტულად მთელი საქართველოს ისტორიაში დაიწყო კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია. შეიძლება ითქვას, ბათუმზე, ქობულეთზე ამას სერიოზული ყურადღება ექცევა. ამის თავი და თავი ის არის, რომ დაცული იქნას შავი ზღვა და მასში გაწმენდილი წყალი ჩავიდეს ზღვაში. ამისთვის 70 მილიონიანი პროგრამა ხორციელდება.”(სტილი დაცულია)

შავი ზღვის დაცვის მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საქართველოს წყლებში ”პელაგიური ტრალის” ტიპის ბადეებით თევზაობა აკრძალა. სამინისტროს აზრით, პელაგიური ტრალი ზღვის ფსკერს აზიანებს. ამან ქართველი მეთევზეების პროტესტი გამოიწვია.

რადიო "თავისუფლება" RFE/RL, Inc. ყველა უფლება დაცულია

<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1555073.html>